სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

15167402463623

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N23611938

რეგისტრაციის თარიღი

21.11.2023 წ

ნოტარიუსი: ირმა ბერიძე
მისამართი: თბილისი,გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7, კორპ. N4-6
ტელეფონი: 2905754

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი, საქართველო

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაერთ ნოემბერს მე, ირმა ბერიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7, კორპუსი №4-6, მომმართა ბატონმა **ზურაბ ლოლაშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს "ქართულ-უკრაინული წარმოების საფინანსო კომპანია"-ს დირექტორი (თანახმად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერისა იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვიქტორ დოლიძის ჭუჭა №29, ბინა №106, განაცხადის რესგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23110757, 07/08/2023 18:10:05 საიდენტიფიკაციო კოდი 405220657) მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ ლოლაშვილმა (დაბ. 22.03.1977წ. თბილისში პირადი №01026008407 მისამართი თბილისი ვიქტორ დოლიძის ჭუჭა 29, ბინა 106)** მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ირმა ბერიძემ, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაერთ ნოემბერს მე, **ზურაბ ლოლაშვილი,** როგორც შპს "ქართულ-უკრაინული წარმოების საფინანსო კომპანია"-ს ს/კ 405220657 დირექტორი, რომელიც შემდგომში წოდებულია „მიმნდობი", **ნიკოლოზ სულხანიშვილს (პირადი №01009018463),** რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობილი", უფლებას ვაძლევ იყოს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტი, საკრებულო) და მათ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, რათა ჩემი სახელით წარადგინოს, გამოითხოვოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია, განცხადება, ნებართვა, ნახაზი, ფოტომონტაჟი საზოგადოების საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, აწარმოოს საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადებასთან, მშენებლობის ნებართვის მიღებასთან/გადავადებასთან/ვადის გაგრძელებასთან, საზღვრების დადგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა, ასევე განაშენიანების რეგულირების გეგმის, გენ. გეგმის შეთანხმებასთან, გეგმარებით დავალებასთან ან/და ფუნქციონალური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა მათი ყველა ეტაპის გავლით, წარადგინოს და შეათანხმოს პროექტი, შეიტანოს ცვლილება არსებულ პროექტში, მიიღოს ნებართვა, განაცხადოს შესაბამისი თანხმობები, შეასრულოს აზომვითი ნახაზები, შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში, ხარვეზის შემთხვევაში ალმოფხვრას ხარვეზი, მოაწეროს ხელი, მათ შორის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 2025 წლის ოცდაერთ ნოემბრამდე.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარძნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ირმა ბერიძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი - გადაეცა მინდობილს.

გადახდილია საზღაური: 30.00 ლარი და რეგისტრაციის საზღაური 5.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (29.12.2011წელი) 31.8-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

შპს "ქართულ-უკრაინული წარმოების საფინანსო კომპანია"-ს დირექტორი ზურაბ ლოლაშვილი

ნოტარიუსი ირმა ბერიძე

საქართველო. ნოტარიუსი ირმა ბერიძე GEORGIA. NOTARY IRMA BERIDZE ГРУЗИЯ. НОТАРИУС ИРМА БЕРИДЗЕ 01001038016